საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბრესტის ზავი 1918

ბრესტის ზავი 1918, სამშვიდობო ხელშეკრულება, ერთი მხრით, საბჭოთა რუსეთსა და, მეორე მხრით, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, თურქეთსა და ბულგარეთს შორის. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1918 წ. 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში (ახლანდ. ბრესტი).

1917 ოქტომბრის შემდეგ მსოფლიო ომი ისევ გრძელდებოდა. საბჭ. მთავრობამ მიიღო დეკრეტი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ, მაგრამ ამ ინიციატივას მეომარი მხარეები წინ აღუდგნენ. საბჭ. მთავრობამ ამის შემდეგ დაიწყო სეპარატიული მოლაპარაკება გერმანიასთან, რ-იც რუსეთის ტერიტ. საზღვრებში იყო შეჭრილი და შეტევას აგრძელებდა. მოლაპარაკება დაიწყო 1917 წ. 9 დეკ. გერმ. მხარემ წამოაყენა უმძიმესი მოთხოვნები, რის გამოც მოლაპარაკება არაერთგზის შეწყდა. საბჭ. რესპუბლიკას ამ დროს უკიდურესად გართულებული მდგომარეობა ჰქონდა. ხელისუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო გერმანიასთან დაუყოვნებლივი ზავის დადება.

1918 წ. 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი ზავით რუსეთს ჩამოსცილდა უკრაინა, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის ნაწილები და სხვ.

ბრესტის საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკ. წარმომადგენელი არ ესწრებოდა, რადგან ამიერკავკ. კომისარიატს რუსეთისგან გამოყოფა გამოცხადებული არ ჰქონია. ამით ისარგებლა თურქ. დელეგაციამ და 18 იანვ. რუსეთს წაუყენა მოთხოვნა ყარს-არტაან (არდაჰან)-ბათუმის ოლქების თურქეთისათვის გადაცემის შესახებ. თურქეთს მხარი დაუჭირა გერმ. დელეგაციამ. ამრიგად, ბრესტის საზავო ხელშეკრულება, რ-ის მეოთხე მუხლი თურქეთის კარნახით იქნა შეტანილი, დაიდო ამიერკავკ. ერების დაუკითხავად, მათი ინტერესების საზიანოდ.

ამიერკავკ. სეიმმა არ ცნო ბრესტის საზავო ხელშეკრულება და 1918 წ. 13 მარტს თურქეთთან დაიწყო დამოუკიდებელი მოლაპარაკება ქ. ტრაპიზონში. თურქ. მხარე, ეყრდნობოდა რა ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV მუხლს, მოლაპარაკების წინასწარ პირობად აცხადებდა ყარს-არტაანის (არდაჰან)-ბათუმის დაცლას და ამ ოლქების თურქეთის საკუთრებად აღიარებას, ამიერკავკ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას. სეიმის დელეგაცია, რ-ის მეთაური იყო ა. ჩხენკელი, თურქეთს სთავაზობდა წინადადებას დაეწყოთ მოლაპარაკება რუსეთ-თურქეთის 1914 საზღვრების საფუძველზე. ამიერკავკ. სეიმში თურქეთთან ზავისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე მწვავე დებატები მიმდინარეობდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები, რ-თაც უპირატესი გავლენა ჰქონდათ, არ უჭერდნენ მხარს დამოუკიდებლობას, რადგან ეს, მათი იდეოლოგიით, „რუსეთის დემოკრატიის საერთო ინტერესებს“ უპირისპირდებოდა. სოციალ-დემოკრატთა შეცდომა ის იყო, რომ მათ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან გაუშვეს ჯერ კიდევ 1917 და ამით შესაძლებლობა მისცეს თურქეთს საზღვრების საკითხი რუსეთის წინაშე დაეყენებინა. ტრაპიზონის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ თურქეთი შეუდგა რუსეთის მიერ მისთვის მიკუთვნებული ტერიტ. იარაღით დაპყრობას. დაიწყო საომარი მოქმედება. თურქ. ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი. თურქ. აგენტებმა მესხეთში შექმნეს მუსლ. რაზმები და 19 მარტს არტაანი (არდაჰანი) დაიკავეს. თურქები მესხებს თავიანთ შთამომავლებად აცხადებდნენ. შედგა დოკუმენტი მესხეთის თურქეთის ავტონ. ერთეულად გამოცხადების შესახებ. თურქეთის აგრესიას ფარულად აქეზებდნენ სეიმში შემავალი მუსავატური პარტიის ლიდერები.

ვითარების მკვეთრი გაუარესების გამო ამიერკავკ. სეიმი იძულებული გახდა მისი მრწამსის საპირისპიროდ 1918 წ. 22 აპრ. გამოეცხადებინა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დემოკრ. ფედერაციული რესპუბლიკის სახით, რაც ეცნობა მსოფლიოს ქვეყნებს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა თურქეთთან მოლაპარაკების განახლება. თურქ. მთავრობამ ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და 28 აპრ. მოლაპარაკების ადგილად დაინიშნა ბათუმი.

ბათუმის კონფერენცია შეიკრიბა 1918 წ. 10 მაისს. ამიერკავკ. საზავო დელეგაციას ხელმძღვანელობდა ა. ჩხენკელი, თურქეთისას – ხალილ ბეი. მოლაპარაკების პერიოდში ამიერკავკასიის მხრივ არაერთგზისი პროტესტის მიუხედავად თურქეთს საომარი მოქმედება არ შეუწყვეტია, იგი ამასთან სულ უფრო აფართოებდა მოთხოვნებს. ბათუმის კონფერენციაზე ამიერკავკ. დელეგაცია თანახმა იყო მოლაპარაკება ბ. ზ-ის საფუძველზე წარმართულიყო, მაგრამ თურქეთი IV მუხლით აღარ კმაყოფილდებოდა, იგი აგრძელებდა ინტერვენციას.

ამიერკავკ. სეიმში ზავის საკითხებზე პარტიათა დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ იგი 1918 წ. 26 მაისს დაიშალა. საქართველოს ს.-დ. პარტია ამ ვითარებაში იძულებული გახდა ხელი აეღო თავის ზოგად დემოკრ. პრინციპებზე და მხარი დაეჭირა საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის, რასაც დაჟინებით აყენებდნენ ეროვნ.-დემოკრ. ძალები. სეიმის დაშლის დღესვე გამოცხადდა საქართვ. დამოუკიდებლობა. ა. ჩხენკელმა და ნ. რამიშვილმა გეზი აიღეს ბათუმში საშუამავლოდ მოვლინებულ გერმ. დელეგაციაზე, რ-საც მეთაურობდა ფონ-ლოსოვი. იმ დროისათვის ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. მხოლოდ გერმანიის ჩარევით შეიძლებოდა თურქეთის დამპყრობლური განზრახვის ალაგმვა.

1918 წ. 4 ივნ. დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის ბათუმში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რ-იც საქართველოსათვის უფრო სამძიმო იყო, ვიდრე ბ. ზ-ის პირობები. თურქეთმა მიიღო თითქმის მთელი სამხრ.-დას. საქართველო (იხ. ბათუმის ხელშეკრულება 1918).

გერმანიასთან ხელშეკრულების დადებამ საქართველოს თავიდან ააცილა თურქეთის მხრივ ოკუპაციის საფრთხე. ოკუპირებული ტერიტორია თურქ. ჯარებმა დაცალეს ომში გერმანია-თურქეთის ბლოკის მარცხის შემდეგ 1918 ოქტ-ში მუდროსში დადებული დროებითი საზავო ხელშეკრულების შედეგად.

ა. სურგულაძე